მედეა ნიქაბაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
deanikabadze@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.68

სამეტყველო ენის ზეგავლენა ინგლისურენოვან პოლიტიკურ მედია-დისკურსში

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ სამეცნიერო შრომების რაოდენობა, რომლებიც დისკურსის სხვადასხვა სახეობის კვლევას ეძღვნება. ცნება დისკურსი მრავალფეროვანი და ფართო გაგების გახდა, რაც გამოწვეულია ამა თუ იმ ავტორის მსოფლმხედველობით, მათ მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიით. აქედან გამომდინარე, იმ კვლევების უმეტესობა, რომელიც ,,დისკურსის თეორიის" ჩარჩოში ჯდება, გვაწვდიან ჩატარებული დისკურს-ანალიზის შედეგად მიღებული ცოდნის განსჯისა და სისტემატიზაციის საშუალებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტოინ ა. ვან-დეიკის (2000), იაკობ ტორფინგის (2005), მარიანა ვ. იორჰანსენისა და ლუიზა ფილიპსის შრომები (2002), რომლებშიც მოყვანილია დისკურსის თეორიისა და დისკურს-ანალიზის არსებული კლასიფიკაციები.

აშკარაა ის ფაქტი, რომ ცნება დისკურსი ატარებს დისციპლინათშორის ხასიათს და შედის ისეთი სამეცნიერო დარგების კვლევის სფეროში, როგორიცაა სოციო- და ფსიქოლონგვისტიკა, კოგნიტიური ლინგვისტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა, რიტორიკა და სტილისტიკა. დისკურსის განხილვა ლინგვისტური პოზიციიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რამდენადაც დისკურსი, ესაა რთული კომუნიკაციური მოვლენა, რომელსაც გააჩნია შედგენილი სტრუქტურა და ორგანიზაციის შესაბამისი პრინციპები, რომლებიც სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება კონკრეტულ სოციალურ-ენობრივ სიტუაციაში. ასეთი სოციალურ-ენობრივი სიტუაციის თვალნათელი მაგალითია დისკურსის სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა პოლიტიკური, დიპლომატიური, ადმინისტრაციული, იურიდიული, სამხედრო, პედაგოგიური, რელიგიური, მისტიკური, სამედიცინო, საქმიანი, სარეკლამო, სპორტული, სამეცნიერო, სასცენო, მასობრივ-ინფორმაციული და ა.შ.

თანამედროვე სოციოლინგვისტური გამოკვლევების გათვალისწინებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პოლიტიკური დისკურსი. რამდენადაც იზრდება და ფართოვდება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების როლი თანამედროვე მსოფლიოში, ძლიერდება პოლიტიკური ზემოქმედება და საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება. საზოგადოების მასების პოლიტიზირება, განსაკუთრებით, პოლიტიკური დისკურსი, ადამიანის ინფორმაციული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ამიტომ, პოლიტიკური დისკურსის ანალიზი აუცილებელია მისი შინაგანი აგებულების, მისი ნამდვილი ინტენციის შესასწავლად (ანუ ყველაფრის, რაც გასაგებს ხდის პოლიტიკური მოღვაწის საუბარს და მის მიზნებს), რაც პოლიტიკოსის საჯარო გამოსვლებში არის გამოხატული.

პოლიტიკურ დისკურსზე მეტყველების გავლენა განიხილება პოლიტიკური ლინგვისტიკის, პრაგმატული ლინვისტიკის, დისკურსის თეორიის, ფსიქოლოგიის ფარგლებში. მოცემული სტატიის თემის აქტუალობა განპირობებულია საზოგადოებრივი

აზრით მანიპულირების პრობლემის მიმართ გაზრდილი ინტერესით. როგორც ე. შეიგალი აღნიშნავს, ძალაუფლების ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება ინფორმაციაზე მონოპოლია და ლაპარაკის უფლებაა. ენის თვისება, რომ პუბლიკას თავს მოახვიოს მსოფლმხედველობა, მოცემულ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს. ამასთან დაკავშირებით, პოლიტიკური კომუნიკაციის სფეროს კვლევის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, ენა აღიქვა პრაგმატული მიზნის მიღწევის საშუალებად: მოახდინო ადრესატის შემეცნებით მანიპულირება. პოლიტიკოსები აქტიურად გამოიყენებენ ელექტორატის შემეცნებაში არსებულ მსოფლიო სურათს. პოლიტიკურ კომუნიკაციაში სამეტყველო ზემოქმედება იგეგმება (ანუ მოსაუბრის მიერ აღიქმება, როგორც ილოკუციური საშუალება). ამგვარად, შეგვიძლია ვისაუბროთ მანიპულაციის სტრატეგიაზე. ვ. მასლოვის მიხედვით, მანიპულაცია არის იმ შეხედულებების, მოსაზრებების, მოქმედების საშუალებების აუდიტორიისთვის თავსმოხვევა, რომლებიც ადრესატმა შეიძლება ჩათვალოს მცდარად, მაგრამ მისთვის მომგებიანად. (მასლოვი,2005)

პოლიტიკოსები ელექტორატსა და ოპონენტებზე ზეგავლენის მოხდენის სხვადასხვა ხერხს იყენებენ. როგორც ე. შუბერტი ამტკიცებს, ,,...ზემოქმედების მქონე გამოსასვლელი სიტყვის შექმნაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ლინგვისტურ ასპექტს უკავია (სამეტყველო სტრატეგიები). მას მოჰყვება სიტუაციის ექსტრალინგვისტური შემავსებლები. მნიშვნელობით მესამე ადგილზეა სიტყვის პარალინგვისტური გაფორმება (ხმა, მიმიკა, ჟესტი, იერსახე, გამოხედვა და სხვ.)

დარწმუნების პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია ენის ეფექტური გამოყენება, რაც ძალაუფლების ინსტრუმენტს წარმოადგენს. პოლიტიკური ძალაუფლება გარკვეული დოზით ენის მეშვეობით ხორციელდება. ის ეხმარება პოლიტიკოსს შევიდეს რეციპიენტის პიროვნულ სფეროში, როგორც უბრალო ხერხების (ნაცვლსახელის ,,ჩვენ"_ ხშირი გამოყენება ,,მე"-ს ნაცვლად), ენის არჩევის (ბილონგვიზმის შემთხვევაში), ისე მანიპულაციის უფრო რთული ხერხების გამოყენებით (სიტყვებით თამაში და სხვ.). მანიპულაცია გვესმის, როგორც საკუთარი აზრების, შეხედულებების, მოქმედების ხერხების თავსმოხვევის პროცესი, რაც შეიძლება ადრესატმა აღიქვას სიცრუედ, მაგრამ მისთვის მომგებიანად. ეს დაკავშირებულია სხვადასხვა ხერხის გამოყენებასთან, რომლებიც მიმართულია რეციპიენტის კრიტიკული აზროვნების დაქვეითებისკენ. ამასთანავე, ენის ძალა გამოიყენება ნებისმიერ საზოგადოებაში. ზემოქმედების მოხდენის მიზნით ყველაზე ხშირად გამოყენებული ენობრივი საშუალებებისგან მკვლევარები გამოჰყოფენ მდგრად სიტყვათაწყობას, სტერეოტიპიზებულ კლიშეს, შემხვედრ კითხვებს, ენის ექსპრესიულ ერთეულებს, ნეოლოგიზმებს. აქვე აღსანიშნავია მეტაფორების უდიდესი როლი.

არამხოლოდ ამერიკის პოლიტიკაში გამოიყენება პოლიტიკური ხასიათის მეტაფორა, არამედ მთელ მსოფლიოში. ევროპული პოლიტიკის ბოლო ანთოლოგიაში „პოლიტიკის ენა და მეტაფორა: მსოფლიოს შეცვლა და ინტერპრეტაცია, (თ. ქარვერისა და ჯ. პიკალოს მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული); ავტორები პოულობენ დამთხვევას გიბსთან, ლაკოფთან და ჯონსონთან. მაგალითად: სტენვოლი (2008, გვ. 36) წერს: ენისა და მეტაფორის გამოყენება აიხსნება, როგორც ძალაუფლების მაჩვენებელი ინსტრუმენტი, რომელსაც პოლიტიკური მსახიობები იყენებენ, როგორც სკომუნიკაციო და ლეგიტიმური ინტერესებისთვის, ან პოლიტიკური ინტერესების შესანიღბად.

რინგმერი წერს: (2008, გვ. 57) პოლიტიკაში მეტაფორა ნამდვილად გამოიყენება, როგორც ელიტის იარაღი ადამიანებისათვის ადგილის მისაჩენად. იგი ეთანხმება ლაკოფს და ჯონსონს,

რომ მეტაფორას შეუძლია რეალობის ასპექტების ბუნდოვნად წარმოჩენაც და მათი დღის სინათლეზე გამოტანაც. „პოლიტიკის მეცნიერთათვის საკმაოდ ბუნდოვნია პოლიტიკოსების მიერ წარმოთქმული მეტაფორების ერთმანეთთან დაკავშირება და კონცეპტუალიზაცია. (რინგმერი, 2008, გვ. 58). ვერტესენისა და დე ლანდშეერის (2008, გვ. 273-4) მიხედვით კი, მეტაფორა მიუთითებს პათოსს, ლოგოსსა და ეთიკას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეტაფორული გამონათქვამების გამოყენება მიმართულია და სათავეს იღებს ჩვენი ემოციებიდან: ლოგიკური და ეთიკური შეგრძნებებისგან. ისინი აღნიშნავენ იმასაც, თუ როგორ აღვივებდა შიშს ჰიტლერი თავისი მტრებისადმი მიმართვის გაკეთების დროს, როცა მათ რაცხდა, როგორც საშიშ დაავადებებად და საშინელ უბედურებად.

მაიო (1997, გვ. 118) აღნიშნავს თუ როგორ გამოიყენება მეტაფორები პოლიტიკაში, რომ რთული, კომპლექსური საკითხები გახადოს შედარებით გასაგები. განსაკუთრებული როლი ენიჭებათ მეტაფორებს დაძაბულ სიტუაციებში, რაც უფრო არწმუნებს მოსახლეობას იმაში, რომ მთავრობის წარმომადგენლებს ზუსტად ესმით და ფლობენ რთულ სიტუაციას და მათგან თავის დაღწევაც იოლად შეუძლიათ.

გაძლირებული მეტაფორულობა თანამედროვე სააგიტაციო-პოლიტიკური ტექსტის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ამის შესახებ მრავალი თანამედროვე მკვლევარი წერს (არუთინოვა, ბარანოვი, კარაულოვი, ლაკოფი, ჩუდინოვი, შეიგალი და სხვ.) მეტაფორა წარმოადგენს რა ადრესატის ემოციასა და ინტელექტზე ზემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერად მოქმედ საშუალებას (ისევე, როგორც სხვა გამომსახველობითი საშუალებები პოლიტიკურ ტექსტში), ფასდება არა დამოუკიდებლად, როგორც მატერიის ან ქმედების გამაცოცხლებელი, გამაძლიერებელი იარაღი, არამედ იმ შემფასებლური ეფექტის მიხედვით, რასაც ის ახდენს მსმენელზე.

სპორტული ტერმინოლოგიის მეტაფორული გამოყენების საფუძველი მედია-დისკურსში, არის სპორტის კატეგორიების დიდი სოციალური მნიშვნელობა; სპორტულ-სათამაშო და პოლიტიკური სფეროების სიმბოლური სიახლოვე; შემეცნებითი ველის - ,,სპორტი"-ცნობადობის მაღალი დონე. ყველაფერი ეს ხდის მას გამოსადეგს, შეავსოს გარკვეული პოლიტიკური ფენომენის არცოდნით არსებული შემეცნებითი ლაკუნები, გააიოლოს რთულ პოლიტიკურ მოვლენებზე წარმოდგენა სპორტული სფეროდან აღებული სახელებით. აუცილებელი ემოციური ასოციაციების ფორმირება სპორტული მეტაფორების ძლიერმოქმედი პოტენციალია. მეტყველების ზემოქმედებას მეტაფორით, რომლის წყაროა სპორტული კონცეპტი ,,ლუზერი" (ხელმოცარული), ეძღვნება ეს სტატია. მოცემულ მეტაფორულ ერთეულს აქვს ნეგატიური შეფერილობა და თავის თავში შეიცავს მძლავრ ემოციურ სიგნალს. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნებული სტატიების ავტორები პოლიტიკური ლიდერების, პარტიის წევრების, პოლიტიკური პროგრამებისა და გადაწყვეტილებების, კანონპროექტებისა და ცალკეული სახელმწიფოების დასახასიათებლად გამოიყენებენ კონცეპტს ,,ლუზერი":

•ეს ნამდვილად ასეა. ემასკულაცია არის მარცხისთვის განწირული (ლუზერი) და ფაქტიურად პოლიტიკურ თვითმკვლელობას ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, 2010 წელს, ვინც პოლიტიკის მასკულინიზაციას დადებითად აფასებს, შეუძლია წარმატების იმედი ჰქონდეს, ქალი კანდიდატების ჩათვლით.

•ექსპერტები არიზონას მოვლენების შემდეგ დემოკრატებს პოლიტიკურ ლუზერებს ეძახიან.

•US News and World Report -ის პუბლიკაციის მიხედვით, პოლიტიკოსები მიხვდნენ, რომ

კონსტიტუციის მეორე შესწორება, რომელიც უფლებებს უზღუდავდა კანონმორჩილ მოქალაქეებს, იყო მათთვის პოლიტიკური ლუზერი.

•თურქეთი შესაძლოა აღმოჩნდეს მთავარი პოლიტიკური ლუზერი ისრაელ-ღაზას კონფლიქტში.

•მერკელი მთავარი პოლიტიკური ლუზერია ევროპული გირაოს საქმეში.

•რონ პოლი, პოლიტიკაში ხელმოცარული პირი (ლუზერი) ბესტსელერების ავტორი გახდა.

•ო'რეილი: არიზონას კანონი მთავარი პოლიტიკური ლუზერია ობამასთვის.

•პოლიტიკური ლუზერები ხელს უშლიან ეკონომიკურ განვითარებას.

•იგნატიევი ზაფხულის განმავლობაში ითვლებოდა პოლიტიკურ ბანკროტად (ლუზერი). მაგრამ ჰარპერის მთავრობა ძალიან ცუდ სიტუაციაში ვარდება, როცა საქმე ეხება საზოგადოებრივ აზრს.

•სტაჟიორმა ლუზერმა შეიძლება სცადოს და გახდეს პოლიტიკური ლუზერი.

•ტრამპი რესპუბლიკური პარტიის ყველაზე დიდი ლუზერია.

რთული არაა მიხვედრა, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითები უარყოფითი შეფასების მტარებელია, რადგან გამოყენებული მეტაფორა ,,ლუზერი" მკითხველთა შემეცნებაში უარყოფითი შეხედულების ჩამოყალიბების ხელშემწყობია.

სწორედ ასე ვლინდება ენის ზეგავლენის ერთ-ერთი ხერხი სპორტული მეტაფორის მეშვეობით, რაც სოციალური შემეცნებით მანიპულირების იარაღს წარმოადგენს.

ამგვარად, სპორტული მეტაფორა ინგლისურენოვანი საინფორმაციო საშუალებების მიერ საკმაოდ ხშირად გამოყენებული მოვლენაა. ეს შემთხვევითი არაა. ვხედავთ, რომ სპორტული მეტაფორა დარწმუნების მძლავრი საშუალებაა. პოლიტიკური კომუნიკაცია თავისი ბუნებით დამაჯერებელი, შეგონებითი ფორმის კომუნიკაციაა. ამის გამო სპორტული მეტაფორა ხდება აუდიტორიის მიერ აღქმის საშუალებაზე ზემოქმედების მქონე პოლიტიკური პროპაგანდის, პოლიტიკური მოვლენების, პოლიტიკოსების და მათი ქმედებების იარაღი.

ლიტერატურა:

კირვალიძე (2009): კირვალიძე, ნ. პოლიტიკური დისკურსი და კოგნიტური მეტაფორები. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი", 3 (35). pp. 121-125. ISSN 1512-0333. თბილისი.

ლომაძე თამარ (2016): საზოგადოებრივ აზრზე სამეტყველო ზემოქმედების კოგნიტური ასპექტები. თბილისი.

Charteris-Black, Jonathan (2005): *Politicians and Rhetoric – The Persuasive Power of Metaphor*. Basingstoke: Palgrave Macmillan.

Gibbs, Raymond Jr. (2017): *Metaphor Wars: Conceptual Metaphors in Human Life*. New York: Cambridge University Press.

Lakoff, Johnson (1980): Lakoff, George, & Johnson, Mark 1980, Metaphors We Live By, Chicago: University of Chicago Press;

Lakoff, George (2003): Metaphor and War, Again. Linguistics department. UC, Berkeley;

Lakoff, George (2008): *The Political Mind: Why You Can't Understand 21st Century American Politics with an 18th Century Brain*. New York: Viking.

https://www.theatlantic.com/politics/archive/2010/07/pundits-dub-arizona-suit-a-political-loser-for-democrats/344897/

https://asbarez.com/turkey-could-be-major-political-loser-in-the-current-israel-gaza-conflict/
https://www.politico.eu/article/angela-merkel-martin-schulz-cdu-spd-government-of-losers/
https://www.latimes.com/archives/blogs/top-of-the-ticket/story/2008-05-01/opinion-ron-paul-political-loser-now-best-selling-author
https://edition.cnn.com/2022/11/09/politics/winners-losers-2022-midterm-elections/index.html
https://www.realclearpolitics.com/video/2010/07/07/oreilly_arizona_lawsuit_a_political_loser_for_obama.html
https://www.jstor.org/stable/117205
https://www.jstor.org/stable/3688902
https://www.wsj.com/articles/donald-trump-is-the-gops-biggest-loser-midterm-elections-senate-house-congress-republicans-11668034869

Medea Nikabadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

Influence of spoken language in English-Speaking political media discourse

Abstract

A great deal of attention is paid to the problems of political discourse because political discourse is the most frequently used event in society. The impact of speech on political discourse is discussed within the framework of political linguistics, pragmatic linguistics, discourse theory and psychology. The relevance of the topic of this article is due to the increased interest in the problem of manipulation of public opinion.

As E. Siegel points out one of the clear manifestations of power is the monopoly on information and the right to speak. The ability of language to shape the worldview of the public plays a big role in the mentioned case. In this regard, one of the characteristic features of research in the field of political communication is that language is perceived as a means of achieving a pragmatic goal: to manipulate the addressee's cognition. Thus, we can talk about the strategy of manipulation. The great role of metaphors is noteworthy here.

This article is devoted to the impact of speech with a metaphor, the source of which is the sports concept "loser". This metaphorical unit has a negative connotation and contains a strong emotional signal.